პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

# ტარტაროზი

№ 78 კვირა 12 დეკემბერი 1926 წ. № 78

## ყულაბა



— რამდენი ხანია ფულებს ვყრით შიგ და ამ ოხერ ყულაბის ავსება მაინც არ იქნა.

ამერიკული ყულაბა: დაიცადეთ... ჯერ სადა ხართ. საცრით წყალს უმალ მოჰტანთ, ვიდრე მე ამავსებდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაცარქატო



— მომიტანეთ „ცოცხალი“.
— თევზი ძველი გახლავთ.
— მაშ ბიტკი მოიტანეთ.
— ბიტკი გუშინდელია.
— დღევანდელი არაფერი გაქვთ?
— როგორ არა,—გახლავთ ჟურ. „ტარტაროზი“.

მუშაობდენ დღედაღამე
არ უჩანდა საქმეს ძირი.
ვის ახსოვდა მოსვენება,
ვის ახსოვდა ღამე ძილი.
თითქმის თერთმეტ ან თორმეტზე
მოდიოდენ დილას ადრე,
დაცქეროდათ ღამ-ღამობით
ფანჯრებიდან „სტოლზე“ მთვარე.
იყო წერა... იყო ბჭობა...
(რაზედ, ვისთვის, რისვის, რატომ?..)
და დღითი-დღე იზრდებოდა
შტატების მხრით ნაცარქატო.
კებინეტში, როგორც ბევრგან
გამგეობაც აქაც გამგე,
და გულუხვად ურიგებდა
ნათესავებს თბილ ალაგებს.
შეკვეცა და ახლის დასმა
მიღებულ იყო სენი,
(ეკრეჟიმის და კარგ გამგის
საქები და დამამშვენი...)
დრო მიქროდა... ახლო-მახლ
იტეხავდენ ბევრნი კისერს.
ნაცარქატოს კი ცხოვრება
ძველებურად სცემდა ისევ.
დღე პაპიროსს უნდებოდა,
საღამო კი ტკბილსა ბაას...
რა ვუყოთ თუ ხუთად სწე
ნამუშევარ ზედმეტ საათს.
მუშაობა სდუღდა თითქო,
არ უჩანდა საქმე ძირი.
ვის ახსოვდა მოსვენება,
ვის ახსოვდა ღამე ძილი...
ერთხელ როცა კარში წვიმა
ცრემლებს გვრიდა მანდილოსნებს;
სახელგამის კანტორაში
მოენახათ ბინა მგოსნებს,
ტრამვაიში შეძრომისთვის
ხელჩართული იყო ომი
და ადგილი ციდის სიგრძეც
გამხდარიყო მიუწვდომი...
ნაცარქატოს თავმჯდომარემ
კალმის ტარი დასდო ნელა
და უბრძანა:—გამგეები
დამიძახეთ ეხლა ყველა.—
და შეგროვდენ გამგეებიც,
შეაჩერდენ თვალში უფროსს.
თავმჯდომარე იჯდა ჩუმად,
თავმჯდომარე სდუმდა უფრო...
და გაბედა ბოლოს ერთმა,
თქვა:—უფროსო, რა გაწუხებთ,
იქნებ ის რომ ურიგ ალაგს
რესტორანში გნახეთ წუხელ?..
ფიქრი ნუ გაქვთ, ჩვენ შენთან ვართ.
არ იქნებით ჭირში მარტო,
შემოგევლეთ ყველა ერთად,
შემოგევლოთ ნაცარქატო!..
და თქვა მაშინ თავმჯდომარემ,
(და ხმა მისი გულში ჩადის):
— მეგობრებო მინდა გითხრათ
რა მაწუხებს, რა მაქვს დარდი.
ყველაფრით ვარ კმაყოფილი,
ეომებით მტერს ერთგულად,
უწყებაში კორის ფეხი
ერთხელაც არ შემოდგმულა,
მაგრამ ყურში იდუმალი
ხმა ჩამძახის და მომესმის:
—გაიყინა ნაცარქატო,
არ ემჩნევა რამ პროგრესის...—
წამი წამს გავს... სულ ყოველდღე
მობეზრდება თაგვსაც ერბო,
და სულ მუდამ, მუდა მასე
როდემდისინ, მეგობრებო!..
არ გვლანძღავენ, და (არც გვინდა)
რად არ გვესმის მაშინ ქება?..
ერთხელ მაინც რომ შეგვაქონ
გაზეთებმა რა იქნება?..
ნუ თუ გზები დაგვეკეტა,
გასაქანი არ გვაქვს არსად?..
დროა, დროა, ნაცარქატო
გახდეს ბოლოს ნაცარპასკად!..
და, აი, მეც დაგიძახეთ,
ვიმსჯელოთ და ვნახოთ ის გზა,
რომელითაც მოკლე ხანში
ჩვენ მივაღწევთ დასმულ მიზანს.
გზა გრძელია, მაგრამ მაინც
ნუ დავკარგავთ წუთით იმედს!..
დაამთავრა თავმჯდომარემ
და „კრესლოში“ ჩაჯდა მძიმედ.
და შეიქნა სჯა-ბაასი,
და გარდაწყდა ბოლოს ასე,
რომ გააცნონ შესაფერად
ნაცარქატო ფართოდ მასებს,
და პრესასაც გაახსენონ
ნაცარქატოს არსებობა,
დაიბეჭდონ ანგარიში
ას თავად და ცამეტ ტომად.
და უთუოდ იმდენ ცალად,
(რომ არ შექმნას ხალხმა რიგი)
რომ შეგნებულ ყოველ ქართველს
მაგიდაზე ქონდეს იგი...
და რომ უფრო არსებითად
მოსჭრან თვალი მკითხველს უცებ
უნდა გრაფიკ-მრუდეები
ამშვენებდენ ყოველ ფურცელ
—აი, მაშინ,—თქვა უფროსმა
არ ექნება ქებას ზღვარი.
გარდაქცევა ნაცარპასკად
უქებოდ ხომ ძნელი არი.—
და შეუდგენ მუშაობას,
არ ზოგავდენ ოფლს და ფარებს.
და წლის ბოლოს, როგორც იქნ
როგორც იქნა დაამთავრეს.
და უფროსმაც ამ ძვირ შრომას
გაშრობაც კი არ აცალა—
და გაგზავნა დასაბეჭდათ
მილიონ და ათას ცალად.
და დაბეჭდეს, მოიტანეს,
დააგზავნეს ყოველ მხარეს,
და ეძებდენ ამბავს შემდეგ
გაზეთებში გასახარელს.
და მისდევდენ დღენი დღეებს,
არც მყიდველი, არცა ქება,
პირიქით, თქვეს ნაცარქატო
ანიავებს სახქონებას.
გაბრაზებულ თავმჯდომარემ
დაუძახა ყასბებს მაშინ
და ტომები სხვების ჯიბრზე
გაატანა მუქთად სახლში.
თუ ოდესმე, (გინდათ დღესაც)
ხორცს იყიდით თქვენ ბაზარში,
დააკვირდით სახვევ ქაღალდს
და ანგარიშს იცნობთ მასში.

**სინემატო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სალერღელის აშლა

კანადელი მილიონერი ჩარლზ მილერი აძლევს ჯილდოთ ორ მილიონს კანადელ იმ ქალს, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში შობს სხვებზე მეტ შვილს.

(დეპეშებიდან)



ვინ დასთვალოს რამდენი
გავიკეთე აბორტი,
რომ ამეშორებინა
შვილის გაზრდის ხლაფორთი.
ო, რამდენი შვილები
ეხლა მეყოლებოდა?!
და ეს ფულიც ამდენი
მაშინ მე მერგებოდა



— ქალო მაკრინე, ხედავ რაი სწერია გაზეთში? ვინცხა ამერიკელი ორ მილიონს იძლევა ვინც ყველაზე მეტ ბალ-ნებს იზამსო... კაი არ იქნებოდა ჩვენ რომ ვყოფილყავით ამერიკაში? მაშინ ჩვენ მოგვცემდენ ამ ფულს და მერე ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

— ვაი იმას დეექცა კერიე, სულელი არ ყოფილა!? ორ მილიონს რეიზა ხარჯავს? მოვიდეს და მთლად ტყუი-ლად გავატან ამ პირ-ამოსაწყვეტებს... ამომილეს ტვინი თავში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ე რ თ ი ს ა ხ ე სიმულინტობისა



— პეტრე, ავად ვარ და დღეს სამსახურში ვერ მოვალ...

# კინო და... კინო-მსახიობობა

კინომრეწველობა მთელ ქვეყნიერებას მოევლინა და ააფორიაქა ყველაფერი. ცხადია, კინო არც ჩვენ დაგვტოვებდა უყურადღებოდ. მას რომც დავეტოვებინეთ, ჩვენ თითონ არ დავტოვებდით მას.

ერთ კვირა დღეს რუსთველის პროსპექტზე მივდიოდი. გზაში შემეფეთა ერთი უცნობი. იგი მოდიოდა და გამვლელ-გამომვლელებს ათვალიერებდა, მომიახლოვდა და დაჟინებით დამაცქერდა, გვერდი ავუხვიე და განვაგრძე გზა. ერთიც ვნახოთ,—შემომიარა და ისევ ცქერა დამიწყო. შემოვბრუნდი და უკან წამოვედი. თქვენც არ მომიკვდეთ! გამისწრო წინ, აეყუდა კედელზე და საფუძვლიანად ამხედ-დამხედა.

— ბიჭოს! ეს ვინ არის ასეთი თავხედი!—გავივლე გულში და იქვე მუშკოოპის სავაჭროში შევედი.

არ შეგჭამოთ ჭირმა! წუთიც არ გასულა, რომ ეს კაცი შემოვიდა და წინ ამეყუდა. გარედ გამოვედი და ჩქარი ნაბიჯით მოუსვი შინისკენ. ვიარე დაახლოებით 20 წუთი. დავიღალე და წყალი მოვითხოვე. არ მახსოვს ლაღიძის წყალი იყო თუ ბორჯომის. ის იყო მოყუდებული ჭიქა გამოვცალე და... როგორ გგონიათ! ის ახმახი პირში შემომეჩეჩა.

სისხლი თავში ამივარდა, მაგრამ ისევ ჩამოვიყვანე (სისხლი) და შევეკითხე:

— მოწყალეო ხელმწიფევ! რა გნებავთ თქვენ?

— ძლიერ გიხდებათ დაფარული გულის მოსვლა!—მიპასუხა მან.

— მე თქვენ გეკითხებით, რა გნებავთ?

— მშვენიერი პროფილია. შეველიურაც დიდებული.

ეს უკვე მეტის მეტი იყო. მუშტები თავისთავად მოიკუმშენ.

— მომშორდი თავიდან ვილაცა ხარ, თორემ ისეთს გაგაწნავ, რომ ჩემი კი არა, ბაბუაშენის პროფილიც დაგავიწყდეს!—შევძახე აღშფოთებით.

მოწინაღმდეგე ოდნავადაც არ შემკრთალა.

— აბა ერთი გაიღიმეთ!—მითხრა ღიმილით.

ამის მოთმენა კი აღარ შეიძლებოდა. იყო მამაპაპური სილა უნდა გამეწნა, რომ მან კილო გამოიცვალა და სერიოზულად მითხრა.

— დამშვიდდით, ყმაწვილო, ნუ ცხარობთ. მე თქვენთან ფრიად საგულისხმიერო საქმე მაქვს.

მკლავი გამიყარა და წავედით, თუმცა მე ისევ აღელვებული ვიყავი.

— ოდესმე სცენაზე გითამაშნიათ?

— მხოლოდ ერთხელ, ისიც სტატისტის როლში.

— ეგ არაფერი. საერთოდ სცენასთან რაიმე კავშირი გქონიათ?

— სამჯერ ვიყავი სუფლიორად. ერთხელ ლექსი წარმოვსთქვი.

— ესეც დიდი მიღწევაა. თქვენი პროფესია?

— მონგარიშის თანაშემწე ვარ.

— ცოლ-შვილი გყავთ?

— მყავს ერთი ცოლი, და ქალ-ვაჟი.

— ძალიან კარგი... მე ვარ კინო-რეჟისორი... მე თქვენი სახე მომწონს და ხვალ მობრძანდით „გოსკინპრომში".

ახლა კი ყველაფერი გავიგე.

არ მახსოვს: მოვიდოდი თუ მოვფრინავდი. გზაზე ერთ ქალს დავეჯახე, მან ლამაზათ შემომიკურთხა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. შემდეგ ვილაცას ფეხი დავაბიჯე მეჭეჭიან ფეხის ნაწილზე, მისი აღშფოთებაც არა-

# როგორ გავიგო



— ფინინსპექტორმა ამწერა... მეორე იყო და „ტარტა-როზში“ ფარსადანმა ჩამწერა... ეხლაც არის და ვსეობჩი აღწერაა... ვაა! გავთავდი რაღა ამდენი აღწერითა...

რად ჩავაგდე. ბოლოს ავტომობილმა კინაღამ გამიტანა და უკანასკნელად ტრამვაის ვაგონს გავკარი გვერდი. ყველა-ფერი გადავიტანე და სახლისკენ გავეშურე. მივედი და სარკის წინ დავიწყე ტრიალი.

— დედაკაცო, აბა შემომხედე! როგორ მოგწონს ჩემი პროფილი!

— ვინ კორფილეა, ხომ არ გაგიჟდი კაცო?—შემე-კითხა ცოლი.

— კორფილე კი არა, პორფილი ან შეველიურა, ნახე როგორი მიმიკა მაქვს?.. ნახე ჟესტიკულიაციაც, გრაციაც, ინტონაციაც... თუმცა ინტონაცია კინოში საჭირო არ არის.

ჩემი ცოლი მეტად დააინტერესა კინოს ამბავმა; გა-მომკითხა რეჟისორის სახელი და გვარი, მისამართი.

მეორე დღეს... ჩემი მეუღლე დილით ადრე გავიდა და საღამოს მოვიდა. ჰოი საკვირველებავ! ჩემი ცოლი, ჩემი ფეფიკო კინო-მსახიობი გამხდარიყო. მასაც მოეწონა ის რეჟისორი და ხელშეკრულება დაედო.

მესამე დღეს... ჰოი განცვიფრებავ! ჩემი ასული სო-ფიკო, რომელიც ძლივ-ძლივობით მივაღებინე ერთ-ერთ დაწესებულებაში მემანქანედ, ფრიად მხიარულ გუნებაზე მოვიდა სახლში.

— მერი პიკფორდი გაგიგონია, მამა?

— გამიგონიაო? მერი პიკფორდი ვის არ გაუგონია!

— მე ცოტათი ვგევარ ვგონებ პიკფორდს!

— რას სულელობ, სად შენ, სად პიკფორდი!

— ნატა ვაჩნაძეს ხომ იცნობ, ან რუფ როლანდს, ან ჟიზნევას, ან სოლნცევას?

— ყველას კარგად ვიცნობ, მომავალი ჩემი მეგობრე-ბი არიან.

— ჩემი კი მეტოქეებია ესენი.

თურმე ჩემი ქალიშვილიც გაკინომსახიობებულა იმ რეჟისორის წყალობით.

---

მეოთხე დღეს... ჰოი საკვირველებავ! ჩემი ვაჟი, ჩემი შალიკო გვიან დაბრუნდა, მაგრამ დაბრუნდა როგორც „კინო-მსახიობი“...

ერთი სიტყვით, ჩვენი ოჯახი, მთელი შემადგენლო-ბით გადაიქცა კინო-ხელოვნების და მაშასადამე კინო-მრეწველობის ბუდეთ.

ბოლოს დაიწყო სურათის გადაღება, ანუ, როგორც ქართულად ეძახიან—სიომკები. მთელი ოჯახი წავედით სიომკაზე და შეუდექით სიომკაობას, ანუ სურათის გადა-ღებას. რეჟისორმა როლები დაგვირიგა.

დავდიოდით რამოდენიმე დღის განმავლობაში. სამ-სახური აღარ გვაგონდებოდა, რაღა დროს მოანგარიშეო-ბა, ან რეგისტრატორობა იყო, კინო-მსახიობები ვიყავით! ჩემი ცოლი ისე გადაირია, რომ ველარ მცნობდა, სულ კი-ნო-მსახიობებს გადაყვა, არც ჩემი ქალი და ვაჟი აკლებ-დენ ხელს.

ერთ დღეს რეჟისორმა განზე გამიხმო და ფრიად მშრალი კილოთი მითხრა, რომ მე... კინოსთვის არ ვიყავი გამოსადეგი. თურმე სცადეს ჩემი სახე სურათში, მაგრამ აღარ გამოდგა შესაფერი.

— ამას გარდა, თქვენ გაკლიათ მოძრაობა, მიმიკა და ჟესტიკულიაცია, თუმცა თქვენი ხნის კაცს ეს არც კი გაე-მტყუნება.

როგორც მეხი, ისე დამეცა ეს ამბავი. მე, რომელიც ასე ვოცნებობდი კინოზე, მე, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრების ფარგლებიდან ამომაგდეს და ხანში შესულო-ბის ხანს კინო-მსახიობობა დამაწყებინეს, აღარ ვვარგოდი კინოსთვის...

არ გასულა ორი დღე, რომ ჩემი მეუღლე ფეფიკო ფრიად დაძმარებული მოვიდა სახლში. ის სიკეკლუცე, რომელიც მას ამშვენებდა, როგორც კინო-მსახიობს, და-კარგოდა, ჩემს წინ იდგა ჩვეულებრივი ფეფო, რომელსაც რეგისტრატორობაც არ ეკუთვნოდა. რა მოხდა? ხელშე-კრულობა ჩაშლილიყო. რეჟისორს ფეფიკოც დაეწუნებია.

თავი ვინუგეშეთ მით, რომ სოფიკო და შალიკო ისევ შერჩენ კინოს.

გავიდა სულ რაღაც სამიოდე დღე. ერთ საღამოს ჩემი „დუგლასი“ ფრიად დაღვრემილი მოვიდა. დანა პირს არ ულებდა. გამოირკვა, რომ მისთვის „ფერბენკსობა“ ჩამო-ერთმიათ.

დაგვრჩა ერთად ერთი იმედი, ჩვენი სოფიკო, ჩვენი პიკფორდი, რომელიც ფრიად ოპტიმისტურად იყო გან-წყობილი და ჩვენც იმედებს გვაძლევდა. მან ბოლომდე მიიღო მონაწილეობა სურათის გადაღებაში.

მხოლოდ ეს იყო და ეს. „მერი პიკფორდიც“ გახუნ-და, იმ სურათის შემდეგ მასაც უარი უთხრეს და კინო-მსა-ხიობობიდან გაანთავისუფლეს...

ასეთია მოკლედ ჩვენი კინო-მსახიობობის ისტორია.

ამჟამად უადგილოდ არიან ჩვენს ოჯახში: მე, ფეფი-კო, სოფიკო და შალიკო. დაიკარგა ჩვენი კინო-ვარსკლა-ვობა და დაიკარგა მოანგარიშეობა, რეგისტრატორობა და მემანქანეობა.

ის წყეული რეჟისორი მას შემდეგ აღარ შემხვედრია, ან კი რა პირით შემხვდება?

მახსოვს როგორ მოსწონდა მას ჩემი პროფილი.

—„თქვენი პროფილი და შეველიურა!“ ჩამესმის ხში-რად ყურში მისი სიტყვები.

საწყალი ჩემი პროფილი...
საწყალი ჩემი შეველიურა...
ხოლო მიმიკა. ეხ! აღარ ღირს ლაპარაკად...

ალლარ-ალლარსან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ეკრეჟიმი"



— რატომ თქვენი კრავატები ყველა მოკლე და ვიწროა?
— იმიტომ, რომ ჩვენც ეკრეჟიმი გავატარეთ მუშაობაში.

# ჩემი აღსარება

მართალია: ბევრს არ აინტერესებს ჩემი ვინაობის გაგება და ზოგ ნაცნობსაც შეიძლება დავავიწყდი, მაგრამ ისინი რომელთაც გამოუცდიათ ჩემი კალმის უგემური გემო, ვერაოდეს ვერ დამივიწყებენ და რომელი მათგანიც არ მიცნობს, იმედი მაქვს, ეცდება როგორმე გამიცნოს, რითაც დიდ ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს.

განა ბედნიერება არ არის ის რომ, კაცს გეძებენ, უნდათ გაიგონ შენი ვინაობა და ყოველ მოყვარეზე უფრო ხშირად აგონდები?

თუმცა მცირე რიცხოვანია ეს ჩემი „მოყვარული" საზოგადოება, მაგრამ ხომ მაინც არის.

ამასთანავე, ისინიც, რომელთაც სრულიად არ აინტერესებს ჩემი ვინაობის გაგება, ჟურნალში მიცემულ ფულის ხათრისთვის მაინც გადაიკითხავენ ამ ჩემს აღსარებას.

აი ყოველი ამისთვის მოვინდომე, გავაცნო ჩემი ვითარება ყველას—მსურველს და არა მსურველს, რისთვისაც გადავწყვიტე ეს ანკეტა შემედგინა და შემევსო კიდეც.

**ვითარება:** მე ვარ ორ-ფეხა ცხოველი, მცხოვრები ქვეყნის ერთ კუნჭულში შემკული (ანუ შეპყრობილი) შემდეგ თვისებებით:

**ქველ-მოქმედება:** ყოველვე ის, რაც სიკეთედ მიმაჩნდა მხოლოდ ჩემთვის მინდოდა, და ხშირად მომხდარა ისეც, რომ მე სხვისთვის სიკეთე მიქნია; ეს მხოლოდ იმისთვის, რათა მას ჩემთვის სამაგიერო ათ-წილად გადაეხადა; ამასთანავე სიკეთეს მხოლოდ ისეთებს ვუშვრებოდი, რომელთაც სამაგიეროს გადახდის საშუალება ჰქონდათ. სწორედ ამიტომ იყო, რომ მათხოვარისთვის კაპეიკის მიცემაც მენანებოდა და მდიდარს კი მთელი ჩემი ავლა-დიდება (თუმცა ბევრი არაფერი მქონია) რომ ეთხოვა, უარს არ ვეტყოდი.

როცა ჩემთვის საჭირო იყო, რომ ვინმეს სიკეთე ექნა, ფეხ-ქვეშ ვეგებოდი, ვევედრებოდი დახმარებას და... სამაგიეროდ ბევრ კარგ რამეს ვპირდებოდი. ხოლო როცა დავვალიანდებოდი, მოვალეს ყოველთვის გავურბოდი და ვცდილობდი არსად შემხვედროდა, (განსაკუთრებით მაშინ, როცა მას უჭირდა).

მხოლოდ ზოგჯერ მყოლია ისეთი „სიკეთის მომქმედი",რომლისთვისაც ვცდილობდი ვალი სარგებლით გადამეხადა და თუ ვერ გადამიხდია, ეს შეუძლებლობას უნდა დავაბრალოთ.

**პირიანობა:** მიუხედავად იმისა, რომ ღრმად მრწამდა დებულება:

„თვალ-მიუწვდომელ სივრცეზედ, ვინ სცნობს რა გაეხიდება:

„ამა უპირო სოფელში პირობა არ დაიდება"— მაინც კერძო სარგებლიანობის თვალსაზრისი მაიძულებდა გვერდი ამექცია ამ უპირულობის პირობისათვის, რასაც შედეგად, ჩვეულებრივ, ხსენებულ დებულების გამარჯვება მოსდევდა.

**სამართლიანობა:** ვიყავ სამართლიანი და თავ-გამოდებით ვკიცხავდი უსამართლობას ყოველთვის, როცა მე მიჯაბნებდენ; ხოლო სასტიკი და შეუბრალებელი ძლიერების ჟამს. მაშინ ჩემთვის უსამართლობა თვით ბუნებისგან ნაკარნახები კანონი იყო; მაშინ ხელთ მეპყრა უსამართლობის ცელი და დაუნდობლად ვთიბავდი უსუსურობის ბალახს, ერთი სიტყვით: მგელი ვიყავ კრავთა შორის და კრავი მგელთა შორის.

და თუ ოდესმე ის უსინდისო სინდისი გაიღვიძებდა და კიცხვას დამიწყებდა, მე სრულიად გულდამშვიდებით ვუსმენდი, რადგანაც ძალიან კარგად ვიცოდი, თუ როგორ უნდა გამესაღებია მასთანაც უსამართლობა სამართლიანობად.

**სარწმუნოება:** ჩვეულებრივ მდგომარეობაში ურწმუნო ვიყავი და არავითარი ღმერთი და ანგელოზი არ მრწამებია; ხოლო როდესაც, რაიმე საფრთხის წინ ვიდეგ, მაშინ თვით ხელითქმნილ ხატებისაც კი მეშინოდა და მუხლ-მოდრეკილი ვევედრებოდი. (როდესაც მივაჩერდებოდი, მაშინ ისინი კინო სურათებივით ამოძრავდებოდენ, რაც ჩემდამი მუქარის გამომხატველად მეჩვენებოდა).

„ებრაელთა უბანში გაიხსნა მუშკოპის განყოფილება. გახსნას დაესწრო ათასამდე ებრაელი“.
(ქრონიკიდან)




— ვადაი, ხომ დაგვღუპა კაცი რჯულის მადლმა, რავა ზე ცხვირ წინ ჩამოგვიდგეს ეს კოოპერატივი! ჩვენ გაუძლებთ, ვადაი, მაგის კონკურენციას?

— მაგის დარდი გაქვს, ხაიმო? ეს კიდევ უკეთესია! მაქედან გამოტანილ საქონელს, ვადაი, აქავე გავყიდით... და შორიდან საქონლის მოტანა აღარ დაგვჭირდება.

მომხდარა ისეც რომ მე, როდესაც არავითარ საფრთხეს არ მოველოდი, საყდარში მაშინაც შევსულვარ და პირ-ჯვარი (და ჯვარიც) დამიწერია, მაგრამ ეს ხომ მორწმუნე ნათესავების ხათრით იყო.

**ტყუილი:** ტყუილის ხმარებას ყოველთვის ვერიდებოდი (როგორც ჩემთვის ძვირფას საუნჯისას); თუ საუბრის დროს სიმართლე შემომელეოდა, სიჩუმეს მოვიშველიებდი თანახმად რუსთველის თქმულებისა: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“. მაგრამ, საუბედუროდ, ყოველთვის ასე არ იდგა საკითხი, რადგან ხშირად მაიძულებდენ, მდუმარეობის ნაცვლად ხმა ამომეღო, მაგრამ ვინაიდან შეკითხვაზე მართალი პასუხის გაცემა ჩემთვის დამღუპველი იყო, ამისთვის ტყუილს მივმართავდი. ერთი სიტყვით, ტყუილს მაშინ ვხმარობდი, როცა გამიჭირდებოდა, (მაშინ, არა თუ კაცს, სინდისსაც კი ვატყუებდი). მართალია: ძალიან მაშინებდა ხალხური თქმულება: „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“, მაგრამ სანამ ჩემს მოკლე ფეხებიან ტყუილს სხვისი გრძელ ფეხებიანი სიმართლე დაეწევოდა და თვალებს საცოდავად დაუკაწრავდა, მანამ ხომ მაინც მოსვენებულად ვგრძნობდი თავს.

**სიზარმაცე:** არის ზოგიერთი სნეულება, რომელიც ცხოველთა ჯიშს ავლებს მუსრს. სწორედ ასეა სიზარმაცეც, რომელიც კაცობრიობის ერთ ჯიშს, ქართველობას უფრო ემტერება და მეც, როგორც ქართველს, ეს სენი ჩემი წილი არ ამშორებია (ასე მგონია, კუთვნილზე მეტიც შემხვდა). საქმიანობის შესახებ რაღა ვილაპარაკო, როცა ლოგინიდან ისე არ ავდგებოდი, თუ გვერდები არ მეტკინებოდა, ან ის შეჩვენებული შიმშილი არ შემაწუხებდა.

**ტრფობა:** მიყვარდა ყველა ლამაზი ქალი, და შევყურებდი მათ შორიდან უვახშმო ძაღლივით გულდაწყვეტით. ხოლო მათ ვუყვარდი თუ არა, ეს გამოურკვეველი საკითხია, რადგან მე მათ გულში არ ჩამიხედავს (ალბად ვუყვარდი ისე, როგორც მღვდლებს კომუნისტები, ან როგორც კატას ძმარი, რაც ერთმა ქალმა ერთხელ აშკარადაც მითხრა). თუ ხშირად მომხდარა ისე, რომ მე ქალებთან აბრამის ბატკანივით ვყოფილვარ, ეს ძალაუნებურ განდეგილობას უნდა მივაწეროთ. (ვრცელი მოხსენება ამ საკითხის შესახებ იხილეთ და ისმინეთ ბნელ შესახვევებში, მხოლოდ არა ჩემგან, არამედ ამ საქმის სპეცისაგან, რომელმაც უკეთ უწყის ყოველივე საიდუმლო კუნჭული).

**შური:** ათასი კარგი რომ ექნა ჩემთვის კაცს, ყველა დამავიწყდებოდა, ერთი ცუდი კი მინდოდა ათასად გადამეხადა.

**სიხარბე:** მეხარბებოდა სხვისი ყოველივე ის, რაც სხვას მოსწონდა და რითაც პატრონი ხალხის თვალში მაღლდებოდა; მეხარბებოდა სხვისი: სახლი, ბაღი, ფული, თანამდებობა, ცოლი და მსურდა ყველა ესენი ჩემი საკუთრება გამხდარიყვენ.

კიდევ მეტი საუნჯის მქონე ვარ, მაგრამ თქმით კი ყველაფერს ვერ ვიტყვი, რადგანაც მეშინია: ვაი თუ ვინმემ გადაიღოს ჩემგან და პირველობა ჩამომართვას.

როგორც ხედავთ, ასეთ სამკაულებით ვარ დაჯილდოებული, მაგრამ არ მგონია, რომ სრულიად უამხანაგო ვიყო და თუ ზოგიერთი ჩემი მსგავსი თავის დამპალ თიხის ფსკერს ოქროს ფსკერად ასაღებს, მე დარწმუნებული ვარ მათთვისაც გამოჩნდება გრძელტარიანი კოვზი.

ლარიბი.



მომხსენებელს უხაროდა—სავსე იყო რომ დარბაზი.
ის ისვროდა სიტყვებს უხვად ხელოვანი ვით ჯამბაზი.
ვერ უწვდენდა თვალს იქ სად თუ თავდებოდა სკამთა რიგი.
კარებთან კი ატუზული ფეხზე იდგა იქ შიკრიკი.



ერთ საათის შემდეგ ჩუმად გაიპარა ცხრა თუ ათი,
მაგრამ დარბაზს მანდამაინც არ დაეტყო წასვლა მათი.
მომხსენებელს არ შყოფნიდა ციფრ-რიცხვები უამრავი.
შიკრიკს ფეხი მოეკვეთა, გადახარა განზე თავი.



კიდევ შემდეგ ერთ საათის გაიპარა ოცდაათი;
თუმცა ეხლა კი დაეტყო სკამს და დარბაზს წასვლა მათი,--
მაგრამ ეხლა მეტ ექსტაზით განაგრძობდა სიტყვას იგი;
ხოლო სკამზე დამჯდარიყო დაქანცული იქ შიკრიკი.




კიდევ შემდეგ ერთ საათის დაიცალა მთლად დარბაზი,— ვრცელ დარბაზში მორცხვად იდგენ ცარიელთა სკამთა
და შიკრიკის ძილის ხვრენამ შეაჩერა ძლივ „ჯამბაზი". ბოლოს ისიც გაიპარა.., დარჩა მარტოდ იქ შიკრიკი. (რიგი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ექიმთან



**ექიმი:** ცოტა კიდევ გამოჰყევით ენა.
**პაციენტი:** მეტი არ შემიძლია... მეტი სიგრძე არა აქვს ენას.
**ექიმი:** ქალი და ასე პატარა ენა პირველად მხვდება მთელს ჩემს პრაქტიკაში. ბედნიერი ყოფილა თქვენი ქმარი, თუ კი ეს მართლაც ასეა, მაგრამ არა მგონია!..

# მოხსენება დასრულა

საღამოს ხუთი საათისთვის იყო მოწვეული საერთო კრება. „პროფდისციპლინის წესით ევალება კავშირის ყველა წევრებს დასწრება დაუგვიანებლათ"-ო.—ასე ეწერა ადგილკომის ტელეფონოგრამაში. კრებას 1321 კაცი უნდა დასწრებოდა. ხუთი საათის ნაცვლათ 7 საათსა და 9 წუთზე შეიკრიბა 311 კაცი; რადგან ეს კრება მესამეთ იყო მოწვეული, კანონიერათ იქნა ცნობილი.

დღის წესრიგში შემდეგი კითხვები იდგა:

1. **დაწესებულების აპარატის რაციონალიზაცია**—ადმინისტრატიული განყოფილების უფროსის მოხსენება.
2. **ჩვენი კოოპერაცია**—ინსტრუქტორის მოხსენება და
3. მიმდინარე საკითხები.

ზრდილობის, დაღლილობის, ხათრის თუ შინაარსიანი მოხსენების წყალობით აუდიტორია ნახევარი საათის განმავლობაში წყნარათ უსმენდა მომხსენებელს; შემდეგ ატყდა ხველა, სიარული, სკამების ხმაურობა; მომხსენებელმა ილაპარაკა 2 საათი და 9 წუთნახევარი. გაათავა... პრეზიდიუმმა გადახედა დარბაზს, რომელიც უკვე განახევრებულიყო. ალბათ ზოგს კინოში ეჩქარებოდა, ზოგს კიდევ სად.

დარჩენილი მსმენელები, რომლებიც კრების დაწყებამდე ადგილკომის მდივანმა რეგისტრაციაში გაატარა—დათვალეს და „პროფდისციპლინის ძალით" წინადადება მისცეს ბოლომდე დარჩენილიყვნენ.

დაიწყო შეკითხვები ზეპირი და წერილობითი. თავმჯდომარემ გადათვალიერა წერილობითი შეკითხვები, რაც დარჩენილ დამსწრეთა მეტი გამოვიდა და მომხსენებელს გადასცა; მომხსენებელმა მოიმარჯვა სათვალე და დაიწყო პასუხი პატარა შეკითხვებიდან, რაც გვარიანათ გაგრძელდა, ვინაიდან მომხსენებელს არ უყვარდა „ენაძვირობა"...

აუდიტორია დაიცალა; სამდივნო და პრეზიდიუმიც უკან გაჰყვა; კოოპერატივის ინსტრუქტორმაც სახლში ძილი არჩია და ისიც წასულებს უკან გაედევნა.

მომხსენებელი შეშფოთდა, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, დარბაზი პენსნეს ზევიდან დაათვალიერა და ცარიელი სკამები დაინახა.

დარბაზის ერთ ერთ კუთხეში სავარძელში ჩამომჯდარ დარაჯს ჩასძინებოდა.

უკვე ღამის 12 საათი გამხდარიყო.

მომხსენებელი სცენიდან ძირს ჩამოვიდა, დარაჯი გააღვიძა და სათანადო დარიგება მისცა; თვითონ კი სახლში კმაყოფილი დაბრუნდა; მან ხომ პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა.

როკაპი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღიურიდან

მონადირეთა კავშირის დადგენილებით, კავშირის ტრადიციულ საღამოსათვის ნადირის ხორცის ჩამოსატანათ სხვადასხვა რაიონებში დაიგზავნა მონადირეთა რამოდენიმე ჯგუფი.

ყარაიაზში გაგზავნილმა ჯგუფმა ჩამოიტანა სამი გარეული ღორი და **ერთი გარეული კატა.**

(ქრონიკიდან).

წარსული კვირაც
ჩემთვის იყო
წყეული, კრული,
სევდით აღსავსე
სისხლიანი და
ტრაღიკული.
ვერსად წავედი..
თბილისის გარედ
მეშინია კატასტროფისა,
ვეღარ ვენდობი
მატარებელს
გარდა სრაფისა...
ერთხელ მაინც
მიმხვდარიყოს
სპეციალური
ეს კომისია,
მატარებლების
ამდენ მსხვრევაში
თუ უმთავრესად
ბრალი ვისია...
და ამ ფიქრებით
წავედი
მონადირეთა საღამოს,
(ვეღირსები კი ოდესმე
ცხოვრების
ტკბილსა, საღამოს?)...
ფულით უნდოდათ
აევსოთ ცარიელი
თავისი დახლი,
ნადირების
სისხლით მორწყეს
ხელოვანთა
დიდი სახლი...
ტოლუმბაშათ აირჩიეს
პაულო
ცნობილი თამადა
ტოსტებს აზამდა
ტოსტებზე ისე,
სულ თავის თავადა:
—ყმაწვილებო,
ვადღეგრძელოთ
ნადირთ მეფე
მძლავრი ლომი;
მართალია
ჩვენ წავაგეთ
შარშან მგლებთან
დიდი ომი,—
მაგრამ ეხლა
ხომ კარგია
ჩახოხბილზე
ცხელი ლომი..
შემწვართა შორის
მოუტანეს
სტუმრებს
კატა ეული
და თამადა ჩვენი
იქნა გადარეული:
—სად გაგონილა
კატა დესერტათ?!
არვინ გაბედოს
ეს ამის მეტად...
ჭამეს და გლიჯეს...
ხორცი მათ შველის,
მაგრამ სალაროს
ვერვინ უშველის...
გათენებამდე
იძახეს „ურა“...
ამას მიქვიან
მონადირეთა
ტრადიციული
დიდი კულტურა...

კაკოს ბიძა.

# ნატვრა



ნელნელა მიცოცავს საათის ისარი.
(საათის კი არა, ნამდვილი ისარი).
კიდევ არ თავდება ჯერ სამსახურია;
ამათ კი იქ უცდის ღვინო კახურია.
სწყევლიან:—შენს მომგონს თვალებში ნაცარი.—
საათის ისარსა მოაბეს ბაწარი,—
და სწევენ, რათა დრო გავიდეს მალეო..
ამბობენ:—საქმე კი გაკეთდეს ხვალეო.

## ვისია ეს სამკითხველო?



ეროვნული ბიბლიოთეკა



— თქვენ ოდესმე მიგიღიათ მონაწილეობა დოღში და რბენაში?
— ვაა, როგორ არა! ამ დღეებში ვანუას ოცი მანეთი ვასესხე და მთელი კვირა მომიხდა რბენა ჩემი ოცი მანეთის ასაღებად.

# ხორაგოული

„ზაკტპოგროუზს" სჩვევია აური-ზაური,
იჩაგვრის აქ მუშა... ჰფლობს მას აზნაური.
შიშით და ყვირილით მათ უხეთქს გულებსა...
თვითონ კი ითვისებს მათ ნაშრომ ფულებსა.
ტანწვრილი, მაღალი ბობოხის ქუდითა
ის მიდის ბაზარში თვის ცოლით-კუდითა...
(ამშვენებს დიდ ბატონს წალი და ხალათი)
და ორი მუშა მათ მიჰყვება კალათით.
ცოლქმარი აჰკიდებს სურსათსა მუშებსა
და მკაცრი ბრძანებით სახლისკენ უშვებსა...
თვითონ კი ნელი სვლით მოდიან წყვილათა
და ნაზი ღიმილით ამბობენ ტკბილათა:
„ვით უწინ ჩვენ ეხლაც ხომ ვცხოვრობთ ტკბილათა"?..
და ნელი ნაბიჯით მიდიან წყვილათა.

აქ კიდევ სხვაც არის... ორივე წყვილია.
(სიდაბლე, თორემ ეს მასავით წვრილია).
თავს ქუდი წითელი ამშვენებს, აკაცებს.
დეზებიც უმტკიცებს რომ სდევნის ავკაცებს.
რა მისი ბრალია რომ უყვარს ქალები
და მათი ნახვითა უბრწყინავს თვალები.
სარკმელთან დგებიან და ის სთხოვს კრძალვითა..
ჰგონია: ვერ ხედვენ რომ მიჰყავს მალვითა.

ფალანგა.

# აჩაჩა და ტრაქტორი

ტრაქტორმა უთხრა აჩაჩას:
„ეგ ველი დამიცალეო;
გეყოფა ჩიჩქნა ამდენხანს,
მაინდა გამეცალეო".
ცრემლი ჩამოსწყდა აჩაჩას:
„მზეო, დაბნელდი მალეო,
განა ამდენხანს ამ ქვეყნად,
ამისთვის გავიწვალეო?!
ადამიანის შექმნიდან
ეს დედამიწა ვთხარეო;
ღარიბს და მდიდარს ვარჩენდი,
მადლი გულუხვად ვღვარეო;
კაცობრიობის ბეღელში
პური უკლებად ვყარეო;
სეფისკვერ ვუცხვე ქრისტესა
ნამტკიცი, განა მდარეო...
და შენ კი, ბედო, ამაგი
მომისპე გამიმწარეო:
ვილაც ბღუილა ტრაქტორი,
ულმერთო, ქაჯის მგვანები,
ისე მიბღვერის, როგორაც
ქრისტეს მსაჯულთა თვალები...

---

„გაჩუმდი აჩაჩ"—მოისმის
კვლავ ტრაქტორისა ხმანიო:
„ჩავიდა შენი დროება,
წავიდა შენი ხანიო—
შენ სამუდამოთ გეყოფა
რაც აქამომდე ჰხანიო.
რაც მილიონ წელს მოჰხანი,
მე მოვხნავ ორ-სამ თვესაო".

---

ამის გამგონე აჩაჩამ
უფრო ღრმად დაიკვნესაო,
მაგრამ გულს ჯავრად ჩაიდო
მან ყოველივე ესაო:
როცა წყვდიადი ჩამოწვა,
ღამე აივსო ძილითა,—
ჩაჩა ტრაქტორთან მიჩოჩდა
მიჩოჩებითა ფრთხილითა..
და, როცა ადამიანი
სთვლემდა თვლემითა ტკბილითა,—
ტრაქტორისაკენ აჩაჩამ
ქვა გადაუშო სილითა
და მხიარულად გაჩოჩდა
თავის ალაგას საწყალი;
ეგონა, გატყდა ტრაქტორი
და დაუყენა მას თვალი,
თანაც შეხანხლა მან ჭორი:
—ცით ღმერთი ჩამოსულაო,
დაუმტვრევია ტრაქტორი,
იმის განგებას სულაო.—
მაგრამ დახე ბედს! რას ჰხედავს:
ტრაქტორი ისევ ღმუისა,
ბელტი გადადის ბელტოზე,
მოსული ყანაც ღუისა,—
გლეხიც ტრაქტორზე ფიცულობს,
გულით აღარა ტყუისა!

გუთნის დედა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოხეტიალე სული

(მეგობრული შარჟებით)

ამ სამი თვის წინად დეპეშა მივიღეთ: **ქუთ. მუშა-მოსამსახურეებს დაურიგეთ უფასოდ შეშა.**

მე, როგორც კარგად გაცნობილი ხჩ/I. და მჩ/I-ს საქმიანობაზე. ხელის მოწერაზე უარს ვამბობდი, მაგრამ ქალმა არ მომასვენა.

გავიდა ორი თვე, შეშის საფასური სრულიად გამომიქვითენ და შეშა კი არსაიდან სჩანდა. ახმაურდენ მოსამსახურეები. აღელდენ ადგილკომები და ძლივ-ძლიობით მოაჩანჩალეს ოთხი რონოდა შეშა.

— დასწყევლოს ღმერთმა მაგენის თავი; მაგარის საფასური გადამახდევინეს და რბილს იძლევიან!

— რას დაეძებ, გამოართვი, თორემ მაგათი წყალობით მთლად უშეშოდ დავრჩებით... ამბობდენ უკმაყოფილო ქალები.

შეშის ჩაბარების დროს მოხდა ხელჩართული ბრძოლა.

სად. **გელათში** ჩავედი. პოლიაქტე თავის მაკე თხას **მის**ჩოქებოდა და გელათის ღვთის მშობელს ავედრებდა **მის** მშვიდობით გადარჩენას.



— რა დაემართა თქვენ თხას?—ეკითხებოდა გლეხი.

— შენი მტერია, ვჭამე სირცხვილი ხვთის მშობლის **წინა**შე. ყმაწვილო, შარშან ამ დროს მატარებელმა შემილახა თხა. შევპირდი, თუ მშვიდობით გადამირჩენდა, ამის თიკანი და ამის სიგრძე სამთელი მიმერთმია. დანაპირები **გედევანას** გავატანე; ალბად მიწყინა რატომ შენი ხელით არ მომართვიო და წლის თავზე ვხედავ აგერ სამი დღეა **ნა**ცოხარს ველარ იღებს.

— მაგი არაფერია, შენ ეს მითხარი: რას შვრება შენი **გაჭრ**ობის საქმე?..

— რა უნდა გააწყო ამ მუშკორების ხელში; ესენიც **მე**ორე კომუნისტები გამომიჩნდნენ. ჩამასვენ, ბოშო, კბილი: აი სპეკულიანტობს, აი საქონლები ჰყავსო და სადგურს აბინძურებსო, დამეცა თავზე სანიტ-კომისია, შემიყენა ოქმი; ასე რომ, აღარ უნდათ რომ მაცხოვრონ ამ ქვეყ**ნად**. კიდევ ღვთის მშობლის იმედი მაქვს თორემ აქნამდე გული გამისკდებოდა.

აქედან მონასტრისაკენ მინდოდა მენახა გელათის **მო**ნასტრის წმინდანები, მოვკურცხლე. მაგრამ მონასტერი ისე გაწმენდილია წმინდანებისაგან, როგორც ქუთაისის რკ.-გზის კოოპერატივი საქონელისაგან.

ხრეხილის სადგურში (მორიგ აგენტს) კოწიას ვესტუმრე. იმედი მქონდა, როგორც ის აქაურ სამოთხეს იქაურ ჯოჯოხეთზე არ სცვლიდა ეგებ ემგზავრა ჩემთან ერთად. მაგრამ თავის საყვარელ ჯოხზე დაყრდნობილი გაბრაზებული. უყვიროდა საწირეს: „მომეცი ქეზლი“. გამოუშობ



თავის დროზე“-ო. ვატყობ საუბარი მასთან აღარ შეიძლებოდა და თავი მივანებე.

ხრესილიდან მგზავრობას ასწილად სჯობია ჩვენ რკ.-გზის კლუბში წარმოდგენაზე დასწრება. მთვრალი ახალგაზრდობა, მათი უხეში მოქცევა, ჩხუბი და აყალ-მაყალი მეტადრე კვირა საღამოს სინაგოგას მოგაგონებსთ. მინდოდა საწირის ალმასკომში შემეხედა და მის შკოლასაც ვსტუმრებოდი, მაგრამ ამათ ღრიანცელში ისე ამერია გონება, როგორც შორაპნის განმრიგებელი ოტიაშვილის გადანაწერი.

რამოდენიმე წუთში ტყიბულში ამოვყავი თავი. სადგურში შექუჩებულ ხალხს წავაწყდი. უფროსი მემუხრუჭე **ვასაძე** ჰყვებოდა სადგურის ფეხსადგილში მომხდარ თავის თავგადასავალს.—„ერთ ბეწვზე გადავრჩი შეჭმისაგან: ებდღვნა უშველებელი ღორი კარებს, ჰკრა დინგი და შე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოციალური ავადმყოფობანი




მომივარდა შიგ. ფანჯარაზე შევუხტი, თორემ ღორს ვერ გადავურჩებოდი.

აქაურების თქმით როგორც გავიგე, ვასაძე გოჭის ხორცის დაუძინებელი მტერი ყოფილა... და ალბად ამიტომაც მოუნდომა ღორმა შეჭმა. დეე ღორმა და ვასაძემ თავის ისტორიული მტრობა სადაც უნდათ იქ გამოასწორონ.

ღამის ათი საათი იქნებოდა, როცა წმინდა ვარდენის სარეცელთან გავჩნდი.

— წმინდაო ვარდენ! მოვედი შენთან, რომ გამასწავლო გზა საიქიოსაკენ.

ვარდენი თოფ ნაკრავივით შეხტა:—ვინა ხარ უჩინარო არსებავ?

— არსად წამოგცდეს, და მე კონსტანტინე ვარ.

— შემინდე წმინდაო კონსტანტინე! ალბად თქვენი ძმა დავითიც თან გახლავს?

— დავითი ქუთაისში დარჩა, ჩამოვა მაქსიმ გორკით ხუთშაბათს... შენ გამაცილებ.

— საით?— აიბნა ვარდენი...

— საით და საიქიოსაკენ.

— საიქიოსაკენ?! ენა ჩავარდნილივით აღურღულდა ვარდენი. შეირყა სარეცელის მყუდროება, გაღვიძებულ ცოლის წიხლი ვარდენს ფერდში მოხვდა.

— რა ცოდვა გაღრიალებს ამ ლოგინში!—დაიკაპასა ვარდენის ცოლმა და ქმარს ლოგინში წიხლი ჩაჰკრა.

ისევ ქუთაისში დაბრუნება ვამჯობინე და წამოვედი.

კონსტაიდი.



# ჭოჭოხეთის კუთხე



## ხერხი (არა სახერხი)

**ტარტაროზის ნათლია რომ არ იწერებოდეს, ჩვენ ამას სხვას არ დაუჯერებდით. იგი გვწერს, რომ—**

**ტყუილია რომ ამბობენ: „ძაღლი ძაღლის ძვალს არ დაჰხრავსო!!. დახრავს და ძალიან კარგადაც... მაშ რისი ძაღლია, თუ ძაღლობას არ გამოიჩენს!.. თუ კი ასე არ არის, აბა, ერთი გვითხარით სენაკის მეფართლე ვაჭრები რატომ დიერივნენ არშინებით და თავ-პირი დაუმტვრიეს ერთმანეთს?**

მართლაც, აღარ გამართლდა ხალხის ზემოხსენებული თქმულება...

მაგრამ უკაცრავად, მგონი ჩვენ ვცდებით.. მგონი სანახევროდ მაინც მართალია:

**მეორე დღეს „პარასკევობას“ ისევ ზავი ჩამოაგდეს ერთმანეთს შორის და დაატრიალეს არშინი... თურმე ნუ იტყვით—ერთმანეთის ცემა-ტყეპის დროს არშინები დამოკლდენ და გლეხებსაც ამ დამოკლებულ არშინებით მიუზომეს ფართალი.**

ჩვენ ეჭვი გვებადება: ალბად წინა დღით ერთმანეთს იმიტომ წაეჩხუბნენ არშინებით სენაკელი მეფართლე ვაჭრები, რომ პარასკევობისათვის არშინები მოკლე ჰქონოდათ და ამით ბევრი მოეგოთ. გატეხილი თავის და ცხვირის მორჩენა ადვილი საქმეა, ხოლო ფულის მოგება კი ძნელია... და რომ ეს ჩხუბი განგებ მოწყობილია, იქიდანაც სჩანს, რომ ისინი ამ ახლო ხანში კიდევ აპირებენ ერთმანეთში წაჩხუბებას.

## აფერუმ

ოჩამჩირეში არის ქართული ცხრაწლედი, რომლის შესახებაც „ივანიჩა“ და „დუდუხანი“ გვწერენ:

**საჭიროა დასაგველად ცოცხი, რომელიც დაჰგავს არა იატაკს, არამედ პედაგოგიურ საბჭოს, რომელიც ინტრიგანობის მეტს არაფერს აკეთებს.**

**ამ საქმის გამოსარკვევად დანიშნულმა კომისიამ გამოარკვია, რომ „მადლობის ღირსია სკოლის გამგე ზოსიმე ხაბურზანია; ღვინო გააძვირა და ამით გლეხებს საშუალება მისცა ღვინო კარგს ფასებში გაეყიდათ. ამის გარდა ზოსიმემ „სახელი მოიხვეჭა“ დ. გალში, სადაც გამართა წარმოდგენა, რომლიდანაც დარჩა 32 მანეთი დეფიციტი, ვინაიდან აქ ძვირი იყო კახური ღვინო.**

როცა ჩვენ ზემოთქმულ წავიკითხეთ, გაგვიკვირდა და გავიფიქრეთ:— ნუ თუ გამგეს ამ საგმირო საქმეებში არავინ უწყობს ხელს?—და ქვევით ვნახეთ, რომ, თურმე ხელს უწყობს ზაალ აბაშიძე.

**ხშირია შემთხვევა, როცა გამგეს სკოლაში ნახულობენ მოწაფეები დილით... თურმე მთვრალი გამგე წინალამით მიდის სკოლაში გამოსაფხიზებლად... რომ ჰკითხო;**

**— რატომ შვრები ასეო,**—გიპასუხებს:

**— იმიტომ, რომ, სულერთია, დილით მაინც უნდა მოვიდე სკოლაში და ბარემ რომ არ დამაგვიანდეს, წინლამით მოვდივარ...**



გაიღვიძე მასწავლებელო გათენდა

ჩვენ ჩვენი ვსთქვით და აწ აფხაზეთის განსახკომს ეკითხებოდეს ეს ამბავი.

## არ შეცდეთ



თქვენ ალბად ჰგონიათ, რომ ეს არის მღვდლის სახე... არა; ეს არის მაჩხაანის „ლესნიჩი“... თუმცაღა, როგორც „არ დამიტიროთ“ გვატყობინებს

**წვერი გულმკერდზე ჩამოდის,**
**ზოგსა ჰგონია მღვდელია.**
**სახელად ჰქვიან პრაჟანა,**
**კაცი ლოთი და მსმელია.**
**თუ გინდ მას ხელში მიეცით**
**არაყით სავსე ყანწია,—**
**გადაჰკრავს, კიდევ მოითხოვს:**
**— ათს კიდევ დავლევ აწია.**

მაშასადამე მღვდლებს, როგორც გარეგნულად, ისე ჩვეულებითაც ჰგავს: მღვდლებსავით (და კიდევ უფრო) უყვარს ღვინო.

**დასტოვებს ღიად კანტორას,**
**უცდის მას ხალხი მილეთი...**
**„ლესნიჩს“ კი არა სცალია,**
**რომ ხალხს მიჰყიდოს ბილეთი...**

და ალბად მაშინ მოიცლის, როცა სამსახურიდან გამოაბრძანებენ. მაშინ ამ პატივმულ „ლესნიჩსაც“ მეტი დრო ექნება ლოთობისათვის, და ხალხიც თავის დროზე მიიღებს ბილეთს.

## მიჰბაძა

დიდი - ჯიხაიშის სანიტკომისიას („ტარტაროზი № 76) მიჰბაძა საჯავახო სამ. აი რას გვატყობინებს **წყაროსპირელი:**

**გამოჩინებულის თემში წრემანდელმა მცირე მოსავალმა დააფიქრა „სოფლის მოღვაწენი“, რომლებმაც სადგ. საჯავახოს განაყოფიერების მიზნით ჯერჯერობით დაჰყარეს ხუთი ვაგონი უსუფთაობა (ნაკელი). მუშაობა გრძელდება. ჩოხატაურის მეეტლეები და მეურმეები უხვად სტოვებენ საქონლის ნაკელს. აღმასკომის თავმჯდომარე ძალიან ყურადღებით ეკიდება ამ საქმეს, და თვალყურს ადევნებს ნაკელი ბაზრიდან არავინ მოიპაროს.**

თუ ბაზრის გაწმენდა არ მოხერხდა ნაკელისაგან, აღმასკომი მაინც გასწმინდეთ, და მხოლოდ ამის შემდეგ მოხერხდება საჯავახოში სისუფთავის დაცვა. აი ეს არის ჩვენი გულწრფელი რჩევა.

## „სამი გრაცია“

დიახ! სრული ჭეშმარიტებაა, და ეს ჭეშმარიტება ჭიათურის პროფკავშირშია. აბა ყური დაუგდეთ **სინდიოფალას:**

**პირველი იმათს შორისა**
**მოანგარიშე ქალია.**
**ის სარდალია სხვებისა,**
**საქმისთვის მას არ სცალია**
**მთელი დღით სამი ასული**
**(სამივე აქ კავშირშია)**
**შეყვარებულებს იგონებს,**
**ენა არ უცდით პირშია.**
**კავშირი მენდსანშრომისა**
**თამარის ტუალეტია...**
**პასუხის ნაცვლად, შეგიტევს:**

— ო, რა უზრდელი კაცია!...
არა გვცალია, ხომ ხედავთ
პუდრს ვიცხებთ „სამი გრაცია“?!

ტარტაროზი შუამდგომლობს ქიათურის პროფკავშირთა წინაშე, ეს „სამი გრაცია“ როგორც ძვირფასი სამკაული მუზეუმს (იგივე შრომის ბირჟას) გადასცეს, (თუ რასაკვირველია ყველა ეს მართალია).

## გაფრთხილება

შესაძლებელია ჩვენი მკითხველი ფოთში მოხდეს (ფოთშიც ხომ ბევრი გვყავს ადგილობრივი მკითხველები) და მას მოესმას გინება:




ეს დურგალ ნესტორ სირაძის ხმ არის.

ჩვენი ნესტორი სირაძე
ცალ ხელში ქუდს დაიკავებს...
სამიკიტნოში მიდის და
ჭიმავს მუშტებსა და მკლავებს.
სამიკიტნოში ღვინოს სვამს
და ამბობს სიტყვას ავსაო:
—კაცს, რომელს უყვარს ცოლშვილი,
ლაფი დავასხი თავსაო.

(ქვაყუდის-შვილი).

აჰა, ჩავაგდეთ „ტარტაროზში“ ნესტორი, და აბა ვნახოთ როგორ იმოქმედებს ეს გარემოება მასზე.

## დამშვიდდით



ეს არაფერია... დამშვიდდით. ძიმითის ალმასკომის თავმჯდომარემ, როცა „შესჭამა“ ერთი სავსე საინი ხარჩო, აილე და ცარიელი საინი კედელზე მიამტვრია... ეს არის, მეტი არაფერი, მაგრამ ეს არ იკმარა და ზედ ბროლის ჭიქაც მიაყოლა... და, აი ეს დამტვრეული ბროლის ჭიქა გვწერს თუ რატომ ჩაიდინა თეოფილემ ეს საგმირო საქმე:

„ტარტაროზში“ ჩამწერეს
და მიწოდეს ლოთია;
აწ მე ვიცი... მე მკითხეთ
სმა, ჩხუბი და შფოთია.

სულ დავამსხვრევ ამ ჭურჭელს
მაქვს ამისი ხოშია...
მსურს ღვინის სმა ქოშითა,
მომიტანეთ ქოშია.

ამ ლექსის ორი უკანასკნელი სტრიქონი რითმისათვის ტარტაროზმა მიუმატა და იმედია არ ეწყინება თეოფილეს. ქოშით ღვინის სმა ჩვეულებრივი მოვლენაა... ალბად თეოფილეს მეტისმეტი ბრაზისაგან დაავიწყდა, თორემ, დარწმუნებული ვართ, ჩვენი გახსენება არ დასჭირდებოდა.

## რესკონტრო და სახარება



რესკონტრო ეკუთვნის ლაგოდეხის ბანკის ბუჰხალტერს — ლევან გრძელიძეს, ხოლო სახარება კი ადგილობრივ მღვდელ გოცირიძეს...

და თუ ეს ორი წიგნი აქ ერთად არის, ეს იმიტომ რომ მათი პატრონნი:ბუჰხალტერი და მღვდელი ერთად დადიან და ბავშებს ნათლავენ. როცა მღვდელს სახარების წამოღება დაავიწყდება ეკლესიიდან, მაშინ ბუჰხალტერი თავის რესკონტროს მოაშველებს:

სახარებას ჰგავს რესკონტრო,
ორთავე წიგნი სქელია...
ვინ რას შეამჩნევს, იკითხე,
ყდასა დაადე ხელია...

და მღვდელიც ასე იქცევა. ის მოხერხებული კაცია... და მოხერხებული რომ არის, ეს იქიდანაც სჩანს, რომ

„სუდში“ ვექილად ბრძანდება
ეს გოცირიძე მღვდელია;
სჭამს ლაგოდეხს და ღიღინებს:
„ოდელა-დელა-დელია“.

გოცირიძეს რომ დიაკვნად გრძელიძეს დაუნიშნავდენ, [illegible] ბაო—გვწერს „სტაფილო“ — და ტარტაროზსაც მიზანშეწონილად მიაჩნია „სტაფილოს“ აზრი, ხოლო ამისათვის საჭიროა გრძელიძის განთავისუფლება თანამდებობიდან.

## ჭლექიანი „ეპო“

ჩვენ გაგვიკვირდა ეს სათაური, მაგრამ როცა „ჩაქველ ხვლიკის წერილი წავიკითხეთ ჩაქვის ეპოს შესახებ. დავრწმუნდით, რომ ჭლექი ისეთი სენი ყოფილა, რომ შესაძლებელია იმით ყველაფრის დასნეულება.

ამდენხანს გარდაიცვლებოდა, მაგრამ არავის სცალია, რომ მის დასაფლავებას დაესწროს. ამიტომაც ეს საწყალი ავადმყოფი „ეპო“ უცქერის გამოფხეკილ დუქანში ჭერს და იატაკს... და იშვიათად თუ ვირთხა გაირბენს... დიახ! გაირბენს; (ანდა რატომ შეჩერდეს, როცა საკბილოს ვერაფერს წააწყდება)

ეპოს ქონება ეს არის::
იატაკ-კედელ-ჭერიო.
მოაკლდა ნოქარს ვირთხები
ხაფანგით დასაჭერიო.
ზის დახლთან ახლოს ხაფანგთან
ქოსთქვამს ცრემლითა მწარეთა:



ვირთხებიც აღარ მოდიან,
ყველა გაიქცა გარეთა.

მართალია: ამ ზამთარს ადვილად გადაიტანს ჩაქვის ჭლექიანი „ეპო“, მაგრამ გაზაფხული მას ცუდ რამეს უქადის, თუ ამთავიდანვე არ შეუდგა გამგეობა მის მკურნალობას.

# ოზურგეთი

არსენამ უთხრა ანტონსა:
—შენ კი დაგიდგეს თვალიო:
ჩამოეხსენი რაისოს,
სანამ მოვლესო ხმალიო.
მე წითელ სასადილოში
მიტომ დავდივარ მთვრალიო,—
რომ მიჯნურს ვეკუკურები,
შინ მავიწყდება ქალიო.—
ანტონმაც შემოუთვალა:
—ჩვენში კავშირი წყდებაო.
მებრალევი, თორემ მოგკლავდი
მამა ნუ წამიწყდებაო.

ცოლი გაუშვი და კერპად
მხოლოდ ის დავისახეო.
რაისოს ფასი ამ ქვეყნად
მე ჯერ ვერავინ ვნახეო.
ჰიგიენა თუ სიწმინდე
ყველგან მან დააწესაო;
ამას რად უნდა ჩიჩინი,
სუყველა ხედავს დღესაო.—
ჩამოერია მათ შორის
მაკაროს სხვა იერიშითო...
მაგრამ გაგზავნეს სარწყილეთს,
დაბრუნდა მაყარიჩითო.

ძველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „საპატივსაცემოდ“



— კაცო, რატომ ყველა ასე მხიარული ხართ?! ეს ხომ თქვენი გამგის გამოსამშვიდობებელი ვახშამია და... სიდინჯე და მოწყენილობა გმართებთ!?

— სწორედ ამიტომაც არის ყველა მხიარული, რომ მოგვაშორეს ეს ჩვენი გამგე.

ტფილისი. ალმასკომის 1-ლი სტამბა, კამოს ქუჩა № 68. ელსმენი № 11-38.